სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ყველასთვის

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე გოგონებს და ახალგაზრდა ქალებს აქვთ იგივე სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები როგორც სხვა გოგონებს და ახალგაზრდა ქალებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობის და გენდერული თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია მათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის გარეშე. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონებს და ახალგაზრდა ქალებს საკუთარი იდენტობისგან ვითარება და მათი სრული პოტენციალის გააზრება შეუძლიათ მაშინ, როდესაც მათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებები დაუფლებები დაცულია. აღნიშნული ხელს უწყობს მათი ჯანმრთელობის და კეთილდღეობის უზრუნველყოფას, ამცირებს არსებულ ხარვეზებს მათ განათლებასთან და დასაქმებასთან ხელ-მისაწვდომობის კუთხით და ეხმარება მათ გაძლიერებაში. როდესაც ეს საჭიროებები და უფლებები არ არის დაკმაყოფილებული, ისინი ხდებიან გაუთვალისწინებელი ორსულობების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, გენდერული და სექსუალური ძალადობის, ბავშვთა ქორწინების და სხვა საზიანო პრაქტიკის მსხვერპლნი, რაც ხელს უშლის მათ საზოგადოებაში ჩართულობას.

კატალინა დევანდას აგილარი
გაეროს სპეციალური მომხსენებელი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
უფლებების შესახებ

თბილისი 2017 TBILISI

ეს ყველა უნდა ვიცოდეთ!

სქესობრივი ჯანმრთელობა

“სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზანია არა მარტო რეპროდუქციასთან და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული კონსულტაციები და მკურნალობა, არამედ სიცოცხლისა და პირადი ურთიერთობების გახანგრძლივებაც”.

სქესობრივი ჯანმრთელობა შემდეგ კომპონენტებს შეიცავს:

- თანასწორი სქესობრივი ურთიერთობების არსებობა;
- სქესობრივი შეურაცხყოფისა და ძალადობისგან დაცვა;
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისგან თავის დაცვა;
- სურვილისამებრ დაფეხმძიმებისა ან ფეხმძიმობის თავიდან აცილების შესაძლებლობა.”

სქესობრივი უფლებები

“ქალთა უფლებები გულისხმობს, პირადი სქესობრივი ცხოვრების ინდივიდუალურ წარმართვას და დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით იძულების, დისკრიმინაციისა და ძალადობის გარეშე ამ საკითხზე გადაწყვეტილებების მიღებას, მათ შორის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზეც. ქალსა და მამაკაცს შორის სქესობრივი ურთიერთობისა და რეპროდუქციის საკითხებში თანასწორი ურთიერთობა გულისხმობს ურთიერთ-პატივისცემას, თანხმობასა და ერთობლივ პასუხისმგებლობას სქესობრივ ცხოვრებასა და მის შედეგებზე.”

ყველა ადამიანს აქვს სქესობრივი უფლება:

- დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;
- სქესობრივი ცხოვრება და მის შესახებ გადაწყვეტილებები დაცული იყოს დისკრიმინაციისაგან, იძულების ან ძალადობისგან;

რეპროდუქციული ჯანმრთელობა

რეპროდუქციული ჯანმრთელობა გულისხმობს უსაფრთხო სქესობრივ იცხოვრების, გამრავლებისა და ამასთან დაკავშირებული გადაწყვეტი-ლებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. ამ უკანასკნელი პირობის მიხედვით, ქალსა და მამაკაცს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას და შეეძლოთ ოჯახის და გეგმვის

უსაფრთხო, ეფექტური, ხელმისაწ-ვდომი და მისაღები მეთოდების გამოყენება, ამასთანავე ჰქონდეთ ფერტილობის რეგულირების კანონით დასაშვები არჩევანისა და შესაფერისი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებით სარგებლობის უფლება.

რეპროდუქციული უფლებები

- სიცოცხლის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება;
- ჯანმრთელობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის უფლება;
- ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის უფლება;
- განათლებისა და ინფორმაციის მიღების უფლება;
- პირადი ხელშეუხებლობის უფლება;
- პერსონალური დამოუკიდებლობისა და კანონისწინაშე აღიარების უფლება;
- დისკრიმინაციისგანდაცვისუფლება;
- ნებაყოფლობითი, თანასწორუფლებიანი ქორწინების უფლება;
- ქალებისა და გოგონების მავნე წეს-ჩვეულებებისაგან დაცვის უფლება;
- სქესობრივი ძალადობისაგან დაცვის უფლება.

რა რისკები ახლავს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე გაუნათლებლობას?

- არასასურველი ორსულობებისა და შესაბამისად, აბორტების მაღალი რიცხვი;
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელება მოზარდებში;
- არანამკურნალევი ან დაგვიანებულად ნამკურნალები ვენერიული დაავადებები, რაც ხშირად ხდება უშვილობის მიზეზი როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში;
- რეპროდუქციული სისტემის ინფექციების და სხვა გინეკოლოგიური პათოლოგიების, ავთვისებიან სიმსივნეთა დაგვიანებით გამოვლინება;
- ის ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც თან სდევს "მოუმზადებლად" სქესობრივი ცხოვრების დაწყებას და რასაც სხვადასხვაგვარი გამოვლინება შეიძლება ჰქონდეს უფრო მოგვიანებით პერიოდში;

ვის უნდა მივმართოთ რეპროდუქციული სისტემის ინფექციების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, რეპროდუქციული ორგანოების ავთვისებიან სიმსივნეთა და სხვა გინეკოლოგიური პათოლოგიების პრევენციისა და კონტროლისათვის?

საჭიროა განვახორციელოთ ვიზიტი გინეკოლოგთან (ქალთა ექიმთან)

- პირველი ვიზიტი გინეკოლოგთან სასურველია 14- 16 წლის ასაკში;
- თუ არ გქონიათ სქესობრივი კონტაქტი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა მიხვიდეთ გინეკოლოგთან, რადგან ქალწულებშიც კი გვხვდება გინეკოლოგიური დაავადებები;
- გინეკოლოგთან ვიზიტი აუცილებელია განსაკუთრებით სექსუალური ცხოვრების დაწყების წინ და შემდეგ;
- ყველა ქალმა ასაკის მიუხედავად რეგულარულად უნდა ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება. მკერდის პალპაციის, გინეკოლოგიური გამოკვლევების და ნაცხის ლაბორატორიული ანალიზების ჩათვლით.

ლიფლეტი მოამზადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ ქალი და რეალობა
პროექტის ფარგლებში
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ცვლილებებისთვის

ავტორები:
თამარ მაჭარაშვილი
თამარ მაღლაკელიძე

ქალთა ფონდი საქართველოში
WEMEN'S FUND IN GEORGIA

კავშირი ქალი და რეალობა
WOMAN & REALITY

ბუკლეტი დაბეჭდილია საქართველოს ქალთა ფონდის
მხარდაჭერით

საკონტაქტო მონაცემები
ტელ +995 551 004 204
ელ.ფოსტა womanandreality1@gmail.com
https://www.facebook.com/wandr.ge